

სიანჭო


გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კპ.



ნანა რ. სანადრაშვილი

— რას უზრეობი, კაცო?! ჩვენ დავლიეთ და ორმაგად უნა ბერვენება?! —

ჩვენი პირველი ცოლის გეგმა პირველივე დასაწყისშივე



— მეოთხე ბილეთის აღება თუ შეიძლება, გატონო!
— შეიძლება, მხოლოდ რეინიზის სკარფში! წადი ახლა, აიღე და დაუბრუნდი შენს მშობლიურ სოფელს!



— რაა, კაცო, ორი აგური რომ მოგვიტანა?
— გეგმას თქვენ მაინც ვერ ასრულებთ და თავში სარტყელად ესაც გეყოფათ!



— ახსუს, რა უსახელო წირობების ავტორი ვაძღვებ უსახელოდ?!

პირველ ცოლს რომ გავყვარე, ორი ბავშვი, რომლებიც ამ დროისათვის უკვე მოვასწარით მოგვეკვარასტინებინა, მე დავიტოვე. ბავშვები ჩემი იყო და ნაცოლარს რატომ გავატანდი?

მეორე ცოლი, რომელიც მართლ წვნიანის საკეთებლად არ მომიყვანია, ხელნოცარული არ შემოსულა ჩემს ოჯახში. ის რომ პირველ ქმარს გაცყოდა, ბავშვი თავისთან დაეტოვებინა. ამ საცოდავსაც ასე უფიქრია: ბავშვი ჩემია და ნაქმარეებს რატომ დაუტოვო?! ჰოდა, მეც რა მექნა? ეს ქალი თუ მიხდოდა (არადა, მართლა მიხდოდა!), მისი ბავშვიც უნდა მიმეღო, მით უმეტეს, რომ მას ჩემი ორი გადარეული ბიჭი ჰყავდა აღსაზრდელ-გასაზრდელ-მოსავლელ-მისაფრებელ-დასაპურებელი...

სანამ ჩვენ ჩვენი ბავშვი არ გვეყოლა, საერთო ენაც ვერ გამოინახა ოჯახში. ჩემი თამამი ბიჭები ახლა ჩემს მეორე ცოლს ვერ უბედავდნენ „დედის“ დაძახებას და მეორე ცოლს მოყოლილი მატრაკვეცა გოგონა მე ვერ მიბედავდა თვალის გასწორებას.

ამასობაში დრო ხელიდან ქურდივით დაგვიძვრა და ჩვენი საკუთარი ბავშვიც, სრულიად კანონზომიერად, შემოგვემატა. ეს მოხდა და ოჯახიც მოშურნე მეზობელზე შემართული მუშტივით შეიკრა ყველამ თავისი თავი იპოვნა. შინ და გარეთ ყველას მიეცა თავისი კუთხე-კუნჭული. ეს ნაბოლარა ღლაპი ყველა ჩვენთავანის სისხლი და ხორცი იყო ამიერ და იმიერ ოჯახებში.

იმ ბავშვებიდან, რომლებიც ჩვენს ოჯახში იზრდებოდნენ, ორს დედინაცვალი ჰყავდა, ერთს — მამინაცვალი, ერთს კი — დედაც და მამაც თავისი საკუთარი ვყავდით, მაგრამ ჩვენ, მე და ჩემს მეორე ცოლს, ყველა ერთნაირად გეტკიოდა და გვენადვლებოდა.

ჩემი პირველი ცოლი, თავის მეორე ქმართან ერთად, ძეგობის ძიებით გაბოროტებული, კალათბურთულ ქალთა გუნდის გამოსაყვანად ემზადებოდა. არანაკლებ შედეგის გამოდგა ქორწინება ჩემი მეორე ცოლის პირველი ქმრისათვის თავის მეორე ცოლთან, რომელთანაც ვაჟები უფრო ჭარბობდნენ...

თემიდას მსახურებმა მე და ჩემი პირველი ცოლი გავყვარა, თორემ ჩემი შვილები კი არ გაუყრია დედამისისაგან, ისევე, როგორც ჩემს მეორე ცოლს მოყოლილი ბავშვი არ გაუყრია მამამისისაგან. ამრიგად, ჩვენ ყველას ერთმანეთთან, ჩვენდა უნებლიეთ, ჩვენს ირგვლივ გაჩენილი ბავშვები გვაკავშირებდა. აი, ისინიც: ჩემი — ჩემს პირველ და მეორე ცოლებთან; ჩემი — პირველი ცოლის თავის მეორე ქმართან, ჩემი — მეორე ცოლის თავის პირველ ქმართან და პირველი ქმრის მეორე ცოლთან. ყველა ამ ბავშვის ირგვლივ, თავის მხრივ, გაჩნდნენ დედები და მამები, ძმები და დები, ბიძგები, მამიდები და დეიდები, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილები, ბებიები და ბაბუები...

მაგონდებოდა: როცა უპატრონო ბავშვთა სახლში ვიზრდებოდი, ყოველთვის მშურდა იმ ბავშვებისა, მამებით რომ ტრახახობდნენ და დედებით თავი მოქონდათ.

ჩემმა უმცროსმა ვაჟიშვილმა (პირველი ცოლიდან) ქალი რომ მოიყვანა, მხოლოდ მაშინლა მიეხვდი, რომ ბიჭები დაზრდილიყვნენ. ჩვენს ოჯახში პირველი რძალი შემოგოგმანდა თუ არა, უმალ დედამთილისა და მამამთილის ხარისხიც მივიღეთ.

მაღე ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი ღლაპი გაჩნდა: ჩემი პირველი შვილიშვილი, რომელმაც ყველა ისე შეგვეშალა ჭკუაზე, რომ ყველაფერი დაგვავიწყდა.

თითქოს, რძლის ჯინაზე, მეორე ცოლს მოყოლილი ჩემი ქალიშვილიც, სხვებში რომ არ გამომერჩეოდა, მოულოდნელად გავვითხოვდა და საშინლად გულნატკენი დაგვყარა ყველა. ამბობდნენ, მაგრამ არ მეფროდა, და მხოლოდ ახლადა გავიგე და განვიცადე, თუ რა მძიმე და ძნელი ყოფილა მამისთვის ქალიშვილის სახლიდან გაშვება. კარგახანს უხერხულად ვიყავით ერთმანეთში მე და ჩემი სიძე. გულმოსულს, ასე მოულოდნელად და უცებ რომ გამომაცალა ქალიშვილი ხელიდან, მისი დანახვაც არ მიხდოდა, მაგრამ სულ მაღე შვილივით შემეყვარდა და გვერდიდან არ ვიცილებდი. ახლა უკვე მეორე ცოლს მოყოლილმა ჩემმა ქალიშვილმა, თავისი დედამთილ-მამამთილიც შემოგვემატა.

დრო კი სულ ისევ ჩვენდა დაუკითხავად გადიოდა და ჩემი პირველი ცოლის მეორე მამამთილს რომ ვსაფლავებდით, ნათესაობის მთელი საზოგადოება ვიყავით თავშეყრილი. აწი უკვე სიკვდილისაც აღარ მეშინოდა. ვხვდებოდი, რომ ერთ დროს უპატრონო ბავშვთა სახლიდან გამოსული, უპატრონო აღარ ვიყავი, რომ ჩემს დასაფლავებას ორჯერ მეტი საზოგადოება დაესწრებოდა, რომ ორჯერ მეტი გულშემატკივარი და ჭირისუფალი მეყოლებოდა!..




— შენ ცოტა ჰკუთხე მელაპარაკე! ხომ იცი, ჩემი მეოთხე ცოლი ხარ?!
— ამას უყურებ, მართი! იმას აღარ კითხვულვ, შენ მერამდენე ქმარი ხარ ჩემი?!

ნაკვებისა

- **ცხვარმა** შეუტია მეცხვარეს: ჯერ — დოლ-ზ რ უ ნ ვ ა და მერე — დოლ-ზ რ ნ ა ო!
- **თოხლო** მეცხვარის ფარაში რა მოამრავლებს თოხლოს.
- **რევიზორს** ფერმაში გოჭები მოეწონა და — ნეტავ, მაგათი ყურებით გამაძლოო.
- **იხვია** რომ მეფრინველეობის ფერმაში ნაკლოვანებები შეამჩნია, „ვიტყვი, ვიტყვიო!“ ბატი კი კრიტიკას უხშობდა: „სუ, სუო!“.
- **ქათმეზმა** გაიკვირვეს: ათასობით კვერცხსა ვღებთ და მაინც გაიძახიან, ფერმას დაღებთ და ვერა აქვს საქმეო.
- **თავმჯდომარე** ყურად არ იღებდა, თორემ ნიკორა კამეჩი, თავისი გაჭირვების შესაჩივლად, ხშირად უხმობდა ხოლმე, „ნოე, ნოეო!“.

ვანტან ჯავრიშვილი



— დაფუყები კრები რომ ვარ, იმიტომ დაგიფუყნეთ ლექსები?
— თუ არ შეგეძლო, რაღას იწყებდი, ბიძია!

ზაფხულის მომგონიც დაიწვას და აგარაკი ვინც მოიგონა, ისიც! ავიკრავთ გუნდნაბადს და წავეხეტებით ცხრა მთას იქით დასასვენებლად. რისი დასვენება? თბილისში სამსახურში მაინც ისვენებ, აგარაკზე ვინ თქვა დასვენება?! სამსახურში თუ ქსოვის ხასიათზე არა ხარ, დადე თავი მაგიდაზე და წაუძინე! თუ დაგაგვიანდა სამსახურში, ამაზე არავინ ჩამოგახრჩობს. თუ მაინც და მაინც ჯოჯოხეთი დირექტორი გყავს, ჩუმიად აიპარები და მიუჯდები შენს მაგიდას. აგარაკზე? ქალი ხარ და დაიგვიანე ბაზარში! მერე როგორ მიუჯდები მაგიდას სასადილოდ, მაგასაც ვნახავ! ექვს საათზე უნდა ადგე, ბაზარში გაიქცე, აიკილო, რა ქვია იმას, ალექსევევის შტანგის სიმძიმის ხორაკი. თფლში რომ გაიხვითქები, რომელი თბილისური პაპანაქება გაუტოლდება? მერე გაზი შენ არა გაქვს და წყალი, აბაზანაზე ენას ვინ დაძრავს! ქმარი კი ამ დროს თბილისში ნებეფრობს და ხან ერთ გვერდზე გაგორდება, ხან მეორეზე. ის არის აგარაკზე და წონაშიც ის მატულობს. მერე კი შეიცხადებს: ქალო, აგარაკზე გაგიშვი და რას დამგვანებიახარო!

ქმარი:

ვინც ეს აგარაკი მოიგონა, ოცეილოიანი საზამთრო უნდა აჰკილო და ყოველდღე ადუღებულ ასფალტზე ატარო მარშრუტით: სამსახური — ბაზარი — სადგური. წარპოიდგინე სამსახურში დაღლილი კაცი, ძაღლივით ენაგადმოგდებული, დასიცხული და გაბოროტებული, კიტრ-პამიდორ-ბადრიჯნით დატვირთული, ჯერ მატარებლის ვაგონში ასვლისას იერიშზე გმირულად გადასული, მერე ვაგონში ქათამივით ცალ ფეხზე მდგარი, დაბეგვილი და დალურჯებული... სადღაა ცხონებული შაბათ-კვირა! აღარც მოსვენებაა ჩემთვის და აღარც ჭამა! თითს სადაც დამაჭერ, ერბო-კვერცხი გამომივა. რა ქათმები ღებენ ამდენ კვერცხს, იმათი სინსილა!.. ახლა ნაკურორტალი ცოლ-შვილის ჩამოყვანა, მთელი ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების ატანა მატარებელში, აგვისტოს ბოლოს, როცა ყველა ქმარი ჩემს დღეშია და ყველა ცდილობს, თავის ცოლ-შვილს გმირობა და მოხერხება დაუმტკიცოს... ამ დროს ჩემი ქალბატონი აგარაკზე, წმინდა ჰაერზე, სხვა დამსვენებელ ქალებთან თავის ქმარზე ჭორაობს.

ნეტა, ხელში ჩამაგდებინა, ვინც ეს აგარაკი მოიგონა და... ვინც პირველად დათესა საზამთრო!

რაფიელ მამულაშვილი

ვ. მანიასკოვის В. МАНЯСКОВИИ



ჩარხი და ფაფი ია? —
ნაე დავაზე გვიღობა!



თუ ხარ წითელ დავაზე,
ნაზნ ხალხი გავახებ!




ამხანაგო შიკაქევი!
შენ შეგარცხა უღუაში!
ტრიტარზე რომ აღურიობებ,
ჩაუფუტებ ურნაში!



მანიასკოვი დღეს

ლექსი ურწუნო თოგაზე

დღეებს
კომუნის
წამიჯით
წარსულს
ცხოვრებამ
მეღა უტრა.
მეგრამ,
ჩვენს შორის,
არ სჯერა აბლის!
ის ვიქტია!
არ გაურის
გვარი
და მაგალითი.
ვინც გინდა, უთხარ.
თუ მოახერხა,
თვალს აგარიდებს,
ანდა
ტურები
მთელირიცხვა.
გაგებთ ტარნახას.
ფაქტები ხომალდს.
ფაქტები
ცმერთან
მევეტანო!
მეგრამ
ურწუნოდ
გვიუტრებს თოგა:
„რაღაც არ მეურა!“ —
ამბობს
ჯიუტად.
თუ გინდ
არწუნ
ახალი სახლი,
გადაატარე
ოთახის
შღურბლი,
„არ მეურა!“ —
ამბობს
იმისი სახე,
არ გაეხსნება
შეწული
წული.
ნამდვილად
ცული ზნისა
ბრძანდებით,
მე უნდა
გითხათ,
თოგა, ბატონო:
მბ ადვილი,
რომ დავანდელი
არ დანიახეთ
და
მივიატოვოთ!
კეთილი სიტყვა
არ გებურს
თომასი,
ოღონდ
წვალსთივის,
ანდა
წვეისთივის
ამ გააღებულ
გმირულ
წრომში
ურწუნო თოგა
წელს
ნუ შევეშვით!



ტუნაშელკოვა ჭრიჭინოება

არ გიშველს ზამთარში
არც ვეგანა, არც თარი!
ხად ვინახვს ზუხარი —
სიბღებებით გამოხარი!

თუ გინდა, რომ უინგაში
სიბიზ მოვიდვარბოს,
ნაჯაბი და წაღდუნა
დროზე უნდა გაღვსი!

გვერდი მთლიანად მოციფიჭა და გავფილომა ვ. მანიასკოვისა. ეზარე.
გოდუნე გიგი ლონიძე და გიგი გუბიაშვილი.

„ფიასკოების“ „აპოგეების“ და სხვა უხელო სიტყვების შესახებ

ბილნები



მათ ხომ უიმშილო არ ელანდებთ... მუდამ ლხინშია მათი კრებული, — მექრთამეების დაძრწის ბანდები,

ფულეებით ჯიბეგამოვსებული. ნათესავებიც დაძრწიან აქვე: — პა, დაეხმარე, პატივი ეცი! მალულად კერძო პირისგან გამგეს მოსდის ურიცხვი მძლე ჩერვონეცი.

კერძო პირს არ აქვს პირი უხეში,

ის კეთილია და არა ავი: რა ენალვლება, თუ გინდ ციხეში ყველა მუშაკმა ამოჰყოს თავი. აწ დასასრული არა ჩანს ამის

და არ ასვენებს აღამიანებს, ყოფა-ცხოვრებას შემორჩა

ქრთამი, გულსა და სულს რომ აჭუჭყიანებს.

რას დაგაწყნარებს აქ ლაპარაკი... ადგილს დაეძებს

ის მუშა ბიჭი, — ბირყა კი გრგვინავს: „დადგი არაყი,

ანლა ჩამოლი შენ მალარიჩი!“

კაპიკთა გამო ჩამოჰგავს სნეულს, — უიმშილს

არ ძალუძს სირცხვილის მოცდა... და საამქროში

საკუთარ სხეულს ქრთამად სთავაზობს

გოგონა ოსტატს. რომ გადავურჩეთ ბილწთ

ამისთანებს და გადავლახოთ ეს საქმე

ძნელი — ქრთამებს კი არა, თვითონ მექრთამეს

ქეჩოში შავრად ჩავავლოთ ხელი!

1928 წ.

პრების მუშაკთა ყრილობაზე აიღო სიტყვა, და კალინინმა თქვა სწორედ ასე: „იზრუნეთ ჩვენი გაზეთების ენაზე, სტილზე! ხალხურობა და სისადავე — საბჭოთა გაზეთის!“ ჩვენ დღემდე არც კი გვიფიქრია, მართალი ვითხრათ, ენაზე, სტილზე საგაზეთო სტატიებისა!

ამხანაგებო, გაზეთების თანამშრომლებო! — კეთილ ინებეთ და საბჭოეთს მოავლეთ თველი! მიდით და ნახეთ, მოისმინეთ, მკითხველებს ჰკითხეთ, როგორ იგებენ ზოგჯერ უცხო, უცნაურ სიტყვებს:

აკულოვკაში გაზეთების მიიღეს დასტა, სტრიქონებს თვალი ჩააყოფდეს და ერთ სიტყვასთან შეჩერდნენ უცებ... წაიკითხეს, გაოცდნენ მეტად: „პუანკარე განიცდის ფიასკოს!“ — „რა ჯანდაბაა ეს „ფიასკო“? რას ნიშნავს, ნეტავ?“ სხვაგვარი ახსნა „ფიასკოსი“ ვერვინ გაბედა!

„ახეთი სიტყვა არ მსმენია დიდი ხანია, ეშმაკმა უწყის, რას გულისხმობს!“ — ამბობს ვანია. — „ბიჭო, პეტია! ხედავ, ეს რა ხათაბალაა? ფიასკოს მართლა ჯადოს ძალა აქვს, პუანკარესაც კი უხდება მოთმენა მისი! ვუფრთხილდეთ! კარგ დღეს არ დაგვყარის, ფიასკო, ვიცო!“ — „მე მგონი, აწი პუანკარე აღარ მოითმენს ვილაც ფიასკო ვიგინდარას!“ — „კარგი, შენც, ერთი ნუ მიჰქარავ! თვითონ სტინენსიც გააძევა იმან რურდიან!“

„ამერიკელი განგეტერია ფიასკო, აღბათ!“ — „მაშინ მოითმენს პუანკარე, რას იზამს, აბა?!“ და ამის შემდეგ, როცა დაბა აკულოვკაში ჩამოვივლიდა სრუისმხედლი ივანე ეტლით, იყო ხმაური, სიცილი და ხარხარი ერთი: ძვირფასქურჭიან სქელ ივანეს, მოვაჭრეს არაყით, „ბატონ ფიასკოს“ ეძახდა ხალხი.

წყნარად იყავით! წაგიკითხავთ! დამიგდეთ უური!“ და წაიკითხა: „მიღწიეს თავიანთ აპოგეამდე.“ — „აპოგეა?! თუ კაცი ხარ, რას ნიშნავს, ნახე!“ — უთხრა მეორემ, მოაბრუნა ჯგუფისკენ სახე. — „ახლოს მოიწი, ივანოვო! რას დგახარ უკან?!“ შენ რუკის ცნობა კარგად იცი, დახედე რუკას! ზედ „აპოგეა“ აღნიშნული თუ არის, აბა!

რაა? ქალაქი? სოფელი? დაბა?“ — „პო: ა-პ-ო-გ-ე-ა“, — ივანოვმა დამარცვლა სიტყვა, მერე რუკაზე ეძებდა დიდხანს... თქვენც არ მომიკვდეთ! ამის მსგავსი არაა არსად! — „ჯარისკაცებო! ჩვენ ეს სიტყვა უთუოდ გეთარსავს! ეს სენი არის აღნიშნული. აი, აქვეა! ეს „აპოგეა“ ძან ძნელი მოსანახია!“

გადაჰყვა ძებნას, თითქმის ყველა წერტილი ნახა, „აპოგეა“ კი — აბა! — „აღბათ, პატარა სოფელია, აღნიშნავს არ ღირს!“ — ჩართო ვილაცამ საკუთარი გონება „სალი“. ატყდა უაყანი საშინელი... გაჩაღდა დავა... — „არა, ბიჭებო, მე მაგისი მნახველი არ ვარ! ერთი საათი ვეძებ უკვე!“ თქვა ივანოვმა და საჩქაროდ გაშორდა რუკას.

ბოლოს პეტროვმა ითხოვა სიტყვა და „აპოგეა“ „განუშარტა“ ჯარს, როგორც იქნა: — „აქა სწერია, — თქვა პეტროვმა, — ჩემი გაგებით, თავისიანებთან მისულან ფრანგები“. პეტროვმა მეტის „განმარტება“ აღარ ისურვა, და განზე გადა ბრძენი კაცის იერთი იგი. — „თავისიანებს შეხვედრიან; რა მოხდა მერე? უცხოელებთან ხომ არ მისულან?“ — გაისმა ირგვლივ. აი, ხომ ხედავთ, „აპოგეა“ როგორ გაიგეს? ქალაქია თუ სოფელია? — ეს „აპოგეა“; სჯობს, დავანებოთ ამას თავი, მოვეშვათ სულაც! ხეირს არ მოგვცემს ამ სიტყვასთან ჩვენ დაჭიდება!

ჩვენს „აპოგეას“ არ დავუთმობთ ახლა არავის! სხვისი „აპოგეა“ ჩვენ არ გვჭირდება! ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამხანაგებო, არ დავემსგავსო მოლაყებ მოლას, შემოგთავაზებთ ამიტომ მორალს: არ განმეორდეს ის სცენები, რაც აქ დღეს იყო, აღარ დავგდალოვ სიტყვის აზრის კვლევა-ძიებამ! იმ სიტყვის, რომლის განმარტება უჭირს ლექსიკონს, ხმარება გაზეთს არასოდეს ებატება!

გაღმთქართულა ზაშრ ბოლშევიკი

თარგმნა ვასილ ლაფერაზვილმა

7
1973

73-642

საქართველოს
ბიბლიოთეკა

Индекс
76137


მანიპოლაციური ტექნიკა



1. საბჭოთა კავშირი ომებში ანტანტას



2. ცხვირპირის მტვერვის შეტე არაფერს
ატანდა...



3. და, ბოლოს, ანტანტამ სირცხვილს და
ლაჩრობას



4. არჩია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა...